1 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2022 ხუთშაბათი

1კორ 3,18-23; ფს 23; ლკ 5,1-11

ამიერიდან ადამიანთა
მებადური იქნები ლკ 5,10

ცხოვრება მშვენიერია მხოლოდ მაშინ, როცა ის სხვებისთვის გაწვდილი საჩუქარია. პეტრემ ეს განიცადა იმ დღეს, როდესაც თავის ნავში იესო შეუშვა და იქვე ისმენდა მის სიტყვას, ამის შემდეგ კი დათანხმდა კვლავ ესროლა ბადე, მის სიტყვაზე. თუ მე მოვუსმენ და მივენდობი იესოს, ის შეძლებს აქციოს ჩემი ცხოვრებაც საჩუქრად.

2 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2022 პარასკევი

1კორ 4,1-5; ფს 36; ლკ 5,33-39

ახალი ღვინო ახალ ტიკებში
უნდა ჩაისხას ლკ 5,38

ახალი ღვინო და ახალი ტიკები! იესო, შენ ლაპარაკობ ახალ რელიგიურობაზე, რომელიც მხოლოდ შენთან მყოფებს შეუძლიათ განიცადონ: ეს კაცი, ახალი ტყავის მსგავსად, შენით შემოდის შენსა და მამას შორის კავშირში, შვილობრივ, უწყვეტი სიყვარულის ურთიერთობაში, რომელიც განიცდება ცხოვრების კონკრეტულობით, შედგება მთელი მისი სულიერი ძალისხმევით, მისი მარხვით, მისი შესაწირავით.

3 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II]
წმ. გრიგოლ დიდი, პაპი და მოძ., +604, (მ), თ;
(21.VIII) წმ. სახმეან კათ., +779; წმ. ღიხსი
თადეოზ (თათე) სტეფანწმიდელი, მონაზ., VIს

2022 შაბათი

1კორ 4,6-15; ფს 144; ლკ 6,1-5

მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში 1კორ 4,15

ჩენს რწმენას, და შესაბამისად ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებას, დასაბამი აქვს მავანის სიტყვაში ან მაგალითში, რომლის მუდმივი მოვალენიც დავრჩებით. გავფრთხილდებით, რომ არ უარვყოთ ეს რწმენა, ვიფხიზლებთ ყველა შემოთავაზებაზე, რასაც სხვებისგან მივიღებთ. შედარების საბოლოო საზომად გვექნება მრწამსი, რომელსაც სარწმუნოების სიმბოლოც ჰქვია. ის რწმენები, რაც მას შორდება, სიცრუეა, პირველი შეხედვით მიმზიდველნიც რომ იყოს.

.

4 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირადღე, «გ», [III], მწ

2022 კვირა

სიბრძ 9,13-18; ფს 89; ფილიმ 9-10.12-17; ლკ 14,25-33

ვინც არ ატარებს თავის ჯვარს
ვერ გახდება ჩემი მოწაფე ლკ 14,27

შენს მახლობლად, იესო, მხოლოდ სიხარულია: შენ გიყვარვართ, შენ გვიხსნი დღეს და სამარადისოდ. თუმცა ხშირად გვესაუბრები ჯვარზე, რომელიც იმყოფება შენი მოწაფის ყოველ ნაბიჯზე. ეს არის ჩვენი ძველი კაცის სიკვდილი, რაც გვტანჯავს: შენ გვარწმუნებ, რომ თუ ამ ჯვარს მივიღებთ მშვიდად, შენი და ძმების დახმარების იმედით, შენთან ერთად აღდგომას მივაღწევთ. გმადლობთ, იესო!

5 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

წმ. დედა ტერეზა კალკუტელი, +1997, მოწყალების მისიონერი დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

2022 ოთხშაბათი

1კორ 5,1-8; ფს 5; ლკ 6,6-11

მოაშორეთ ძველი საფუარი,
რათა იყოთ ახალი ცომი 1კორ 5,1

მოციქული მოუხმობს ამ შედარებას, რათა მოგვიხმოს მოქცევისაკენ. ძველი საფუარია ის, რასაც გვთავაზობს ღმერთის მტერი წუთისოფელი, უწმიდურობაში, გრძნობისმიერ მანკიერებებში ყელამდე ჩაფლული. იესოს მადლით შევეცდებით ვიცხოვროთ სისპეტაკით, ლაპარაკიდან და მზერიდან ყოველგვარი ურცხვის განდევნით.

6 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

2022 სამშაბათი

1კორ 6,1-11; ფს 149; ლკ 6,12-19

მოვიდნენ, რომ მისთვის მოესმინათ
და განკურნებულიყვნენ ლკ 6,18

იესო უკვე ხედავდა ამ ხალხში მისი დამხსნელი
და განმკურნებელი სიტყვის მომლოდინე მთელ
კაცობრიობას. ამისთვის მან აირჩია თორმეტნი,
ყველა ხალხისთვის რომ უნდა მიევლინა.
მათაც, ვინც ვერ მიდიან იესოსთან, უნდა მი-
აღწიოს მისი სიყვარულის სახარების სიკეთით
მოქმედმა სიტყვამ.

7 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

2022 ოთხშაბათი

1კორ 7,25-31; ფს 44; ლკ 6,20-26

აღმართა მზერა იესომ და თქვა: "ნეტარნი ხართ, გლახაკნი" ლკ 6,20

ვინც თავმდაბლად აღიარებს თავის საზღვრებს და გრძნობს, რომ უფლისა და ძმათა შემწეობა სჭირდება, იღებს შინაგან მშვიდობას. იგი იღებს იესოსა და მამა ზეიციერის სიყვარულის სიხარულს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე სამოთხით ხარობს!

8 სექტემბერი

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა
დ, [ს], თ

2022 ხუთშაბათი

მიქ 5,1-4ა, ან რომ 8,28-30; ფს 12; მთ 1,1-16.18-23

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა;
ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

თუწოდებენ სახელად ემანუელს მთ 1,23

„ემანუელი“, რაც ნიშნავს ღმერთი ჩვენთან არს, დასძენს მათე. დღეს, მარიამის შობის ზეიმით, ჩვენ აღვნიშნავთ ხსნის დაპირების ასრულების მოახლოებას, რომელიც წითელ ხაზად გასდევს მთელ პირველ აღთქმას. დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ მას, ვინც თავისი პირადი და სასოებით აღსავსე "ჰო" თქვა, იოსების "ჰოსთან" ერთად, და გახადა ღმერთის ყოფნა ღმერთისავე საყვარელ კაცობრიობაში, მისივე ნებისამებრ – ხილული, ხორცშესხმული, მისაწვდომი.

9 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III], მწ

წმ. პეტრე კლავერი, ხუც., +1654

2022 პარასკევი

1კორ 9,16-19.22-27; ფს 83; ლკ 6,39-42

თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე დირე ლკ 6,42

არ მინდა დავიმსახურო ეს შენი საყვედური, იესო! სამაგიეროდ, ვიცი, რომ შენ ყოველთვის სავსე ხართ გაგებით მათდამი, ვინც აღიარებს საკუთარ თავს ისეთად, როგორიც არის: მყიფე არსება, რომელსაც ყოველთვის სჭირდება შენი და ძმების წყალობა. განმწმიდე და მეც ვიქნები შენი სიყვარულის იარაღი, რომელიც კურნავს და ანათებს!

შაბათი

1კორ 10,14-22; ფს 115; ლკ 6,43-49

ყველა ერთი ჯჯერიდან ვეზიარებით 1კორ 10,17

სწორედ ამიტომ შორს გავდგეთ კერპთმსახურების ყოველი ფორმისაგან. კერპთმსახურებაა მიანიჭო რაიმე საგანს, თუნდაც ლამაზსა და კარგს, უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე იესოსადმი ერთგულებას. თუ კარგად დააკვირდები, დაინახავ, რომ შენც მრავალი კერპის გავლენის ქვეშ ექცევი ხოლმე. რაიმე გაბრაზებს? ის რაც გაბრაზებს, შენი კერპია. და თუკი ჩივი და წუწუნებ, ეს იმიტომ, რომ რომელიღაც კერპს დაუკავებია შენს გულში ღმერთის ადგილი.

11 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირადღე, «გ», [IV], მწ

2022 კვირა

გამ 32,7-11.13-14; ფს 50; 1ტიმ 1,12-17; ლკ 15,1-32

ჩემი ცხვარი ვიპოვე ლკ 15,6

ეს შენ ხარ, იესო, მწყემსი კეთილი! მე კი იმ ურჩი
და თავნება ცხვრის ნაწილი ვარ, რომელიცაა
ადამიანი! მამისადმი ნდობის ნაკლებობის გამო,
მან მაგრად დააშავა... უფსკრულისგან მხოლოდ
მისი უფლისა და მწყემსის განგმირულმა და ჯვა-
რცმულმა ხელებმა იხსნა იგი: გაკიცხვის გარეშე,
სასჯელის გარეშე, მხოლოდ სიყვარულით მარა-
დიული გულში ჩაკვრით. გმადლობთ, იესო!

12 სექტემბერი

მარიამის წმიდა სახელი

2022 ოთხშაბათი

1კორ 11,17-26.33; ფს 39; ლკ 7,1-10

ეს არის ჩემი სხეული,
თქვენთვის დამტვრეული 1კორ 11,24

წმიდაო მარიამ, დღეს ჩვენ აღვნიშნავთ შენს მშვენიერ სახელს, რომელიც მინდა ჩემიც იყოს; სინამდვილეში ის ნიშნავს: ღმერთი ჩემი უფალია! დღევანდელი სიტყვა კი გვეხმარება: შენ ასაზრდოე და გვიშვი იესოს წმიდა სხეული, ჩვენი სიხარული, იმედი, მარადიული სიცოცხლე. მადლობა მარიამ!

13 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმ. იოანე ოქროპირი, ეპ. და ეკ. მოძ., +407, (მ), თ

2022 სამშაბათი

1კორ 12,12-14.27-31; ფს 99; ლკ 7,11-17

ღმერთმა მოხედა თავის ხალხს ლკ 7,16

ვფიქრობ იმ სიხარულზე, რომლითაც გაისმა ეს სიტყვები იმ სამგლოვიარო მსვლელობაში, რომელიც ზეიმად იქცა; იმ ქვრივის სასიხარულოდ, რომელმაც ერთადერთი შვილი დაკარგა და დაიბრუნა. მე ვფიქრობ მარიამის და მოწაფეების სიხარულზე, რომ მკვდრეთით აღმდგარი იესო მათთან ერთად დაბრუნდნენ. მეც განვიცდი ამ სიხარულს, რადგან არა მარტო წინასწარმეტყველმა, არამედ თავად ღმერთმა მართლაც მოინახულა და სიცოცხლე დაუბრუნა მთელ კაცობრიობას.

14 სექტემბერი

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

2022 ოთხშაბათი

რიცხ 21,4-9, ან ფილიპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა მე იო 3,16

დღეს ჩვენი უსაზღვროდ შეყვარების დღესასწაულია! ის, ვინც სიყვარულით შეგვქმნა, გვიხილა რა უსიცოცხლონი იმის გამო, რომ უარი ვთქვით მასზე, ჩვენ საძებნელად მოვიდა... ეს საყვარელი ძის ფასად დაუჯდა: ჯვარზე მისი მსხვერპლი ჩვენთვის ახალი სიცოცხლის წყაროდ იქცა. გმადლობთ, მამაო, გმადლობთ, იესო!

15 სექტემბერი

2022

ხუთშაბათი

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ქალო, აჰა, შენი ძე! იო 19,26

მოწაფე "რომელიც უყვარდა იესოს", რომელიც დარჩა მისი ჯვრის ქვეშ, მეცა ვარ და შენც, მისი სიტყვით რომ ვცხოვრობთ. მარიამი განაგრძობს იესოგან ჯვრიდან მიღებული დავალების შესრულებას: ის არის დედა ჩვენი, დედა, რომელსაც ესმის და გვანუგეშებს, მზადაა გადმოგვცეს ის ძალა, რომლითაც თავად გაჰყვა იესოს. მარიამ, მწუხარე ქალწულო, ესოდენ საყვარელო, ამდენს რომ მოგიხმობთ, ჩვენც მოგენდობით შენ!

16 სექტემბერი

წმ. კორნელიუს პაპი, +253 და
წმ. კვიპრიანე ეპ., +258, წამებულნი, (მ), წ

2022 პარასკევი

1კორ 15,12-20; ფს 16; ლკ 8,1-3

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

თუ ქრისტე არ აღდგა,
თქვენი რწმენა ფუჭია 1კორ 15,17

მწამს, იესო, რომ აღდექი და ცხოვრობ შენს მოყვარულთა გულებში. ასე მშვიდად შემიძლია ვუყურო ჩემს სიცოცხლეს და ჩემს სიკვდილს, ისევე როგორც ჩემი საყვარელი ადამიანების სიკვდილს: არ მიგვატოვო! გმადლობთ რწმენის დიდი ნიჭისთვის, გმადლობთ მათთვის, ვინც ლოცულობენ შენდამი, რათა მტკიცედ დავრჩე ამ რწმენაში.

17 სექტემბერი

წმ. ხობეიტ ბეღაიმინო, ეპ., მოძ., +1621

2022 შაბათი

1კორ 15,35-37.42-49; ფს 55; ლკ 8,4-15

განსაცდელის ჟამს განდგებიან ლკ 8,13

ვთხოვოთ იესოს, რომ ეს ასე არ მოხდეს. ვთხოვოთ მას, შეგვაძლებინოს პატიება, როცა შეურაცხყოფილნი ვიქნებით; თავმდაბლობა და გულმოწყალება, როცა ინსტინქტურად განვსჯით და ვგმობთ სხვებს; გულუხვობა, ჩვენი ინტერესების მიუხედავად; მისი და ადამიანთა ერთგულება, თუნდაც ტანჯვის ფასად.

სულო წმიდაო, დამეხმარე, ვიცხოვრო იესოს სიტყვით ყოველთვის, არა მხოლოდ მაშინ, როცა მისგან ვიღებ სიხარულსა და მშვიდობას, არამედ მაშინაც, როცა ის მთხოვს, რომ საკუთარი თავი გავიღო.

18 სექტემბერი

რიგითი XXV კვირადღე, «გ», [I], მწ

2022 **კვირა**

ამ 8,4-7; ფს 112; 1ტიმ 2,1-8; ლკ 16,1-13

ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც ლკ 16,13

მამამ ჯერ კიდევ სიყრმისას მომიხმო, ყველაფერი მიმეტოვებინა და იესოს გავყოლოდი. მას შემდეგ ფული არ მაქვს... თუმცა ვგრძნობ, რომ დღევანდელი მოწოდება მეც მეხება: როცა რაღაცას ვეძებ ჩემი კმაყოფილებისთვის, ეს ჰგავს სიმდიდრეზე ზრუნვას, რომელიც ხელს უშლის ჩემს მსახურებას უფლისადმი. იესო, მოგვეცი ყველას, შენს საყვარელ ეკლესიას, მხოლოდ შენი სიყვარულით მდიდარი გული!

ოთხშაბათი

იგ 3,27-34; ფს 14; ლკ 8,16-18

სისამაგლეა თუფლის წინაშე მრუდი *იგავ 3,32*

შევეცადოთ მოვთარგმნოთ პირველი აღთქმის ეს გამოთქმა ახალის ენით: მამას არ შეუძლია გულში ჩაიკრას მრუდე, რადგან სიბნელე, სინათლის თანდასწრებით, ვერ ძლებს. ამიტომ, შურით ნუ უყურებ მათ, ვინც ბოროტებას აკეთებს და უხვად ცხოვრობს; ღარიბი, მაგრამ მამაზე მინდობილი, იყავი ბედნიერი მისი სიყვარულით და ილოცე, მიუძღვენი საკუთარი თავი მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ იცნობს მას.

20 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. ანდრეა კიმის, მღვდლისა და
მეგობართა, წამ., +1839-1866, (მ), წ

2022 სამშაბათი

იგ 21,1-6.10-13; ფს 118; ლკ 8,19-21

ღვთის სიტყვას ისმენენ
და ასრულებენ ლკ 8,21

იესო ამბობს, რომ ესენი არიან მისი დედა და ძმები, მისი ოჯახი. მაშ, რაოდენ ძვირფასი ყოფილა სიტყვა! მოუსმინე და იცხოვრე სიყვარულით, ეს არის იესოსთან, ღვთის ძესთან ზიარების გასაღები. არ არსებობს ამ ზიარებაზე დიდი საგანძური: ეს არის მარადიული სიცოცხლე. ყოველდღე ვეძებ შენს სიტყვას, იესო!

21 სექტემბერი

წმ. მათე, მოციქული და მახარებელი, დ, [ს], წ

2022 ოთხშაბათი

ეფ 4,1-7.11-13; ფს 18; მთ 9,9-13

წყალობა მსურს და არა მსხვერპლი მთ 9,13

იესო და ფარისევლები ერთსა და იმივე წმიდა წერილს კითხულობდნენ, მაგრამ ცოდვილი ადამიანის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ! იესო უსმენდა მამას ძის გულით, სურდა ეცხოვრა მისი სიტყვით: როდესაც წმიდა წერილი ასე იკითხება, ის ჩვენს გულს ცვლის. წმიდაო მათე, მოციქულო და მახარებელო, უგალობდე ალილუიას და ილოცე ჩვენთვის.

22 სექტემბერი

2022 ხუთშაბათი

ეკლ 1,2-11; ფს 89; ლკ 9,7-9

თუნდოდა მისი ნახვა ლკ 9,9

ჰეროდე ცდილობდა ენახა იესო. საგონებელში ჩავარდნილიყო მის მიერ მოხდენილი საოცრებებით. ის მხოლოდ მაშინ დაინახავს მას ბორკილებში, როგორც დამნაშავეს, როცა პილატე გაუგზავნის მას. მაშინაც მხოლოდ სასწაულებს ელის, მაგრამ ვერ იხილავს მის სიყვარულს და ამიტომაც ვერ მიხვდება ვისთან აქვს საქმე. გმადლობთ, იესო, რომ შემიძლია „გიხილო“, როცა სახარებას ვხსნი, როცა გარეგნულ და შინაგან სიჩუმეში ვარ შენთან, შენს სიტყვებში, ჟესტებში, ლოცვაში, შესაწირავებსა და აღდგომაში შენი სიყვარულის ჭვრეტით.

23 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I]

წმ. პიო პიეტრელჩინელი, ხუც., +1968, (მ), თ

2022 პარასკევი

ეკლ 3,1-11; ფს 143; ლკ 9,18-22

იესო განმარტოებული ლოცულობდა ლკ 9,18

იესო ლოცულობდა, ის მამასთან ერთად იყო უდაბურ ადგილებში... თუ არ ვლოცულობ, ვხვდები, რომ აღარ ვიცი რატომ ვცხოვრობ, რატომ ვიტანჯები, რატომ მიყვარს და სწრაფად ვკარგავ ამის ძალასა და სიხარულს. ყოველდღიურად მსურს ლოცვას პირველი ადგილი დავუთმო. სულო წმიდაო, გმადლობთ, რომ შემეწევი.

24 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I], მწ

2022 შაბათი

ეკლ 11,9–12,8; ფს 89; ლკ 9,43-45

გახსოვდეს შენი გამჩენი ეკლ 12,1

ეკლესიასტე კარგი თვალით უყურებს ახალგაზრდათა მხიარულებას და მოუწოდებს მათ გულიდან დარდი და ძვლებიდან ტკივილი განდევნონ. მაგრამ შეახსენებს ახალგაზრდებსაც, არ მიატოვონ ღმერთის წმიდა მოშიშება. თუკი მის გულში არ იქნება ეგრეთ წოდებული „შიში ღმრთისა“, როგორ შეძლებ მის ნდობას? მაკვირვებს ხოლმე ის ყმაწვილი კაცი თუ ქალი, რომელიც თავის ცხოვრებას გეგმავს იმასთან ერთად, ვინც ღვთის შიშით არ დაიარება! თუნდაც... საცდელად!

25 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირადღე, «გ», [II], მწ

2022 კვირა

ამ 6,1.4-7; ფს 145; 1ტიმ 6,11-16; ლკ 16,19-31

ახლა ის ნუგეშცემულია,
შენ კი იტანჯები ლკ 16,25

ეს სიტყვა გვეხმარება ვიცხოვროთ სიბრძნით. ჩვენ სიხარულს ვეძებთ არა აქ, დედამიწაზე, სადაც ყველაფერი გარდამავალია, არამედ ზეცაში, მამის გულში. იქ ყოველი აუნგარო სიყვარულის აქტი, იესოსთან და მის ღარიბებთან გაზიარებული ყოველი ჯვარი მარადიულ საზღაურს პოვებს. ჩვენც სიხარულით ვამბობთ წმიდა ფილიპე ნერისთან ერთად: "სამოთხე მირჩევნია!".

26 სექტემბერი

2022

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ) წ;
წმმ. კოზმა და დამიანე, წამ., +IVს; ნ. ღუჯი ტეცა, +1923,
წმ. კამიღოს ასუღთა კონგჰეგაციის დამაარსებელი

ოჩშაბათი

იობ 1,6-22; ფს 16; ლკ 9,46-50

ვინც თქვენს შორის უმცირესია,
ის არის დიდი ლკ 9,48

ეკლესიაში, როგორც ნებისმიერ ჯანმრთელ ქრისტიანულ ოჯახში, ვინ არის ყველაზე დიდი? ვინ არის ყურადღებისა და სიყვარულის ცენტრში, თუ არა ის, ვისაც სჭირდება ეს ყველაზე მეტად? მაშინ როცა თავს გაჭირვებულად გრძნობ, იცი, რომ მამა შენზე იხრება. ხოლო როცა თავს ძლიერად იგრძნობ, თავად გახდები მისი მამობის იარაღად: შენ ყოველთვის იქნები მისი გულის გულში!

27 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუც., +1660, (მ), თ

2022

სამშაბათი

იობ 3,1-3.11-17.20-23; ფს 87; ლკ 9,51-56

ჯირი მიქცეული ჭქონდა
იერუსალიმში წასასვლელად ლკ 9,53

სამარიელები არ იყვნენ კარგ ურთიერთობაში ებრაელებთან და ამიტომ უარს აცხადებენ იერუსალიმში მიმავალი იესოს მიღებაზე.
იესოს მკაფიო მიზანი გვიჩვენებს, რომ მას სავსებით და გადაჭრით ჰქონდა მიღებული ტანჯვა ჯვარცმით სიკვდილამდე, რომელიც მას ელის იერუსალიმში. მისი სიყვარული, რომელიც ღებულობს ჩვენთვის ტანჯვას, არის პასუხი ტკივილის ხშირად გაუგებარ საიდუმლოზე.

28 სექტემბერი

(15.IX) წმ. აბბა იოსებ აღავეიჰდედი, აბატი და ეპ., +570;
წმ. ვიჩესღავი, წამ., +935;
წმმ. ღავხენტი ხუის და მეგ., წამ., +1633-37

2022 ოთხშაბათი

იობ 9,1-12.14-16; ფს 87; ლკ 9,57-62

წადი და იქადაგე ღვთის სასუფეველი ლკ 9,60

იესო, რაოდენი მადლია შენს მოწაფედ ყოფნა, ქრისტიანობა! ეს მაძლევს ძალას ვიცხოვრო ჭეშმარიტი სიყვარულით ყველას მიმართ, ჩემი გულის თავისუფლებაში: ყოველ მდგომარეობაში ჩემი ერთადერთი ამოცანა იქნება გულით გატარო შენ, ჩვენს შორის მოსული ღვთის სასუფეველი, და შენთან დავრჩე მშვიდად.

29 სექტემბერი

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ
მთავარანგელოზნი, დ, [ს], თ

(16.IX) წმ. ისააკი და იოსებ, კახნუ-ქაღაქში წამებულნი, +808

2022 ხუთშაბათი

დან 7,9-10.13-14 ან, გამოცხ 12,7-12; ფს 137; იო 1,47-51

რაბი, შენ ხარ მე ღვთისა *იო 1,49*

ეს სრული რწმენის აღიარება, რომელიც ნათანაელის ბაგიდან და გულიდან ამოვიდა იესოსთან შეხვედრისთანავე, საიდან მოდის? რა თქმა უნდა, ის მომწიფდა წმიდა წერილების მოსმენით, რომლითაც ნათანაელი იყო დაკავებული მესიის მოლოდინში. მისი გულის გახსნით ზეგარდმო ნათელმა შეძლო შეეღწია და ემოქმედა მასში. ზეციური ძალები, ანგელოზები და მთავარანგელოზები, მზად არიან იმოქმედონ ჩვენს "ღიობებში", ღვთის ძის სადიდებლად.

2022 პარასკევი

იობ 38,1.12-21; 40,3-5; ფს 138; ლკ 10,13-16

ვაი შენ, ქორაზინო, და
ვაი შენ, ბეთსაიდავ! ლკ 10,13

იესომ უნდა გაკიცხოს ის ქალაქები, რომლებმაც მიიღეს მისი სტუმრობის საჩუქარი და ვერ უპასუხეს მოქცევისა და სიყვარულის ნაყოფით. რამდენ საჩუქარს მაძლევს იესო მეც თავისი წმიდა ეკლესიის მეშვეობით: მის სიტყვას, მის წმიდა სხეულს, ძმებთან ზიარებას... სული წმიდაო, დამეხმარე, რომ ტყუილად კი არ მივიღო ისინი, არამედ ნაყოფი გამოვიღო მისი სამეფოს მოსვლისათვის!